სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №16-2811/02

(CPV 77315000)

ქ. თბილისი

28 ნოემბერი 2016წ.

ერთის მხრივ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია" (ს/კ 404904458), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, შემდგომში (შემდგომში: „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ლაშა ქიმაძე (პ/ნ 03001011119) (შემდგომში: ,,მიმწოდებელი") და შემდგომში ორივე მხარე ერთად წოდებული: ,,მხარეებად". ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-10 მუხლი.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით.

1.2 დღე", ,,კვირა", ,,თვე", ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს

1.3 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.4 ,,შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 ,,მიმწოდებელი" - პირ(ებ)ი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 ,,ხელშეკრულების ობიექტი" - ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 სამუშაო დღე ნიშნავს კალენდარულ დღეს შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს თესვითი სამუშაოს განხორციელებას შემსყიდველის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, კერძოდ მიმწოდებელი ფიზიკური ძალით უზრუნველყოფს სათეს-გამფანტველ მანქანაში სათესი მასალის მოთავსებას და გადანაწილებას სპეციალურ დანადგარში თესვის პროცესში.

2.2 შემსყიდველი გაწეული მომსახურებისათვის მიმწოდებელს გადაურიცხავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ თანხას მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწნებული მომსახურების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულებაა: 137,5 (ასოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, საიდანაც საშემოსავლო გადასახადის თანხა შეადგენს 27,5 ლარს, რომელსაც დააკავებს შემსყიდველი და მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხა შეადგენს 110 (ასათი) ლარს, მათ შორის: წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული მომსახურების ღირებულება ერთი დღის (ერთი კაც-დღე) განმავლობაში 20 ჰა მიწის ნაკვეთზე შეადგენს: 45,83 (ორმოცდახუთი ლარი და ოთხმოცდასამი თეთრი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების საბოლოო საერთო ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლების მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების პროპორციულად.

4. მომსახურების გაწევის პირობები, ვადები და ადგილი

4.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გონივრულ ვადაში, მაგრამ შემსყიდველის დაკვეთიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის საჭიროებიდან გამომდინარე (ამინდის მდგომარეობის და სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რაც აფერხებს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული სამუშაოების განხორციელებას), შემსყიდველის დავალებით უზრუნველყოს ზეოაღნიშნული სამუშაოების ჩატარება ეტაპობრივად ან ერთიანად, შემსყიდველის დაკვეთის შესაბამისად.

4.3 მომსახურება განხორციელდება შემსყიდველის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. მის: ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. ,,ბოლაჯური".

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების შესრულება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საბოლოოდ დასრულების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს ახალქალაქში ნაკვეთის მენეჯერი დავით ინასარიძე.

6. ანგარიშსწორების წესი და ვადა

6.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.

6.3 ანგარიშსწორების ფორმა: ნაღდი.

6.4 მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან საშემოსავლო გადასახადის თანხის დაკავებას განახორციელებს შემსყიდველი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1 დადგენილი წესით, დროულად და შეთანხმებული ოდენობით უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა,

მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.1.2 შეუქმნას ყველა პირობა მიმწოდებელს რათა მან შეძლოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

7.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.3 მოთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

8. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1 განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრული, ჯეროვანი და დროული შესრულება.

8.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3 მოთხოვოს შემსყიდველს გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებით აუცილებელი ინფორმაციის დროულად მიწოდება.

8.4 მოთხოვოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი;

9.2 თითეული მხარე ვალდებულია დაკისრებული ვალდებულება შეასრულოს დადგენილი წესით, შეთანხმების ფარგლებში ამასთან, თითეულმა მათგანმა ხელი უნდა შეუწყოს მხარეებს ვალდებულების შესრულებაში. მხარე, რომელიც არღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

9.3 მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშელკრულების დარღვევისათვის ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი გადაცილებული დღისათვის წინამდებარე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.4 ასევე, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს აუნაზღაუროს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

10. ხელშეკრულების მოქმედები ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 03 იანვრის ჩათვლით.

10.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით;

10.2.1 რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას;

10.2.2 კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისაგან თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის შედეგად (ამინდის გაუარესება (წვიმა) წყალდიდობით, მიწისძვრით, გაფიცვით, სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ა.შ.) და თუ ეს მოვლენა დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

11.2მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ლიკვიდაციამდე.

11.3მხარეები ვალდებულნი არიან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას დაუყოვნებლივ შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ.

12. დავების გადაწყვეტა

12.1მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

12.2საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის ან ბათილობის საკითხი განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს.

13. დამატებითი პირობები

13.1წინამდებარე ხელშეკრულებაში დამატებების და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13.2ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლიარად ქართულ ენაზე და მხარეებს შესანახად გადაეცემა თითო ეგზემპლიარი.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია“
ს/კ 404904458
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. N6

საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა 53BG0000000343608000GEL

დირექტორი:
გიორგი ღუღუნიშვილი

მიმწოდებელი
ლაშა ქიმაძე
პ/ნ 03001011119
ადიგენის მუნიციპალიტეტი

საბანკო რეკვიზიტები:
სს ,,საქართველოს ბანკი"

ა/ა GE23BG0000000275206500

ლაშა ქიმაძე

ადიგენი 01 დეკემბერი 2016წ

მიღება-ჩაბარების
აქტი

ჩვენ, ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია" (ს/კ 404904458), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღუღუნიშვილის სახით, შემდგომში (შემდგომში: „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, ლაშა ქიმაძე (პ/ნ 03001011119) (შემდგომში: „მიმწოდებელი") და შემდგომში ორივე მხარე ერთად წოდებული: „მხარეებად", ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს, მხარეთა შორის 2016 წლის 28 ნოემბერს გაფორმებული N16-2811/02 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გაუწია თესვითი სამუშაოს მომსახურება 3 დღის განმავლობაში განხორციელება შემსყიდველის სარგებლობაში არსებულ 20 ჰა მიწის ნაკვეთზე, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ „ბოლაჯურში", კერძოდ მიმწოდებელმა ფიზიკური ძალით უზრუნველყო სათეს-გამფანტველ მანქანაში სათესი მასალის მოთავსება და გადანაწილება სპეციალურ დანადგარში თესვის პროცესში.

მხარეთა შორის 2016 წლის 28 ნოემბერს გაფორმებული N16-2811/02 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ზემოაღნიშნული მომსახურების ღირებულება შეადგენს: 137,5 (ასოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, საიდანაც საშემოსავლო გადასახადის თანხა შეადგენს 27,5 ლარს, რომელსაც დააკავებს შემსყიდველი და მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხა შეადგენს 110 (ასათი) ლარს.

ამასთან, წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტისათვის მხარეებს ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნიათ.

შემსყიდველი
შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია"
ს/კ 404904458
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. N6

საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა 53BG0000000343608000GEL

დირექტორი:
გიორგი ღუღუნიშვილი

მიმწოდებელი
ლაშა ქიმაძე
პ/ნ 03001011119
ადიგენის მუნიციპალიტეტი

საბანკო რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი"
ა/ა GE23BG0000000275206500

ლაშა ქიმაძე